




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 5



2013 წლის 14 იანვარი
ქალაქი ხაშური

„საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის N13/07/04 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის N13/07/04 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთი 7 652 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:
 - ა) ქალაქ ხაშურში კოსტავას ქ. #32-ში (18) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 7 500 ლარი;
 - ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება - 152 ლარი;
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

